პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

პარასკევი, 4 მაისი, 1951 წ. № 103 (8957). ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მდინარე ვოლგაზე კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების, მდინარე დნეპრზე კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის, თურქმენეთის მთავარი არხის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლობის დაფინანსებისათვის მოსახლეობის სახსრების მოზიდვის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დაადგინა:**

1. გამოშვებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1951 წლის გამოშვება) 30 მილიარდი მანეთი თანხისა 20 წლის ვადით;

2. სესხის ობლიგაციები და მათი მოგებანი განთავისუფლდეს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებითა და გამოსალებებით დაბეგვრისაგან.

3. დამტკიცდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პირობები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვება) გამოშვებისა.

დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1951 წლის 3 მაისს

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვება) გამოშვების პირობები

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1951 წლის გამოშვება) გამოშვებულია ვადით 1951 წლის 1 ოქტომბრიდან 1971 წლის 1 ოქტომბრამდე.

2. სესხი განკუთვნილია მხოლოდ მოსახლეობაში გასავრცელებლად.

სესხის გავრცელების წესს ადგენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

3. სესხი იყოფა თანრიგებად, ას-ასი მილიონი მანეთი ყოველ თანრიგში.

თვითეული თანრიგი შედგება 20.000 სერიისაგან. თვითეული თანრიგის სერიებს აქვთ ნომრები № 100.001-დან № 120.000-მდე.

თვითეულ სერიაში ობლიგაციებს აქვთ ნომრები № 01-დან № 50-მდე.

4. სესხის ობლიგაციები გამოდის 500, 200, 100, 50, 25 და 10 მანეთის ღირებულებისა.

500 და 200-მანეთიანი ობლიგაციები შედგებიან შესაბამისად ერთი სერიის ხუთი ან ორი ასმანეთიანი ობლიგაციისაგან ხუთი ან ორი ნომრით და იძლევიან ხუთი ან ორი მოგების უფლებას, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ხვდება ობლიგაციაზე აღნიშნულ თვითეულ ნომერს.

50, 25 და 10-მანეთიანი ობლიგაციები წარმოადგენენ ასმანეთიანი ობლიგაციების ნაწილებს და იძლევიან უფლებას ასმანეთიანი ობლიგაციის კუთვნილი მოგების შესაბამის წილზე (1/2, 1/4, 1/10).

5. სესხის ობლიგაციების მთელი შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით.

მოგებათა საერთო თანხა საშუალოდ სესხის ოცი წლის განმავლობაში დაწესებულია წელიწადში 4 პროცენტის ანგარიშით.

სესხის ოცი წლის განმავლობაში მოიგებს ყველა ობლიგაციის 35 პროცენტი, ხოლო ობლიგაციების დანარჩენი 65 პროცენტი იფარება მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით.

ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდა, იფარება და შემდგომი ტირაჟებიდან გამოირიცხება.

სესხის მოგებანი წესდება 25.000, 10.000, 5.000, 1.000, 500 და 200 მანეთის რაოდენობით ასმანეთიან ობლიგაციაზე, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების (ასი მანეთის) ჩათვლით.

6. სესხის ოცი წლის ვადაში გაიმართება მოგებათა 40 ტირაჟი — ორ-ორი ტირაჟი ყოველწლიურად.

მოგებათა ტირაჟები გაიმართება 1952 წლიდან დაწყებული იმ ვადებში, რომლებსაც დააწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

7. მოგებათა თვითეულ ტირაჟში სესხის ყოველ თანრიგზე, ე. ი. სესხის თვითეულ 100 მილიონ მანეთზე, გათამაშდება მოგებათა შემდეგი რაოდენობა:

ასმანეთიანი ობლიგაციის მოგებათა ოდენობა ობლიგაციის ნომინალური ღირებულების ჩათვლით	მოგებათა რაოდენობა: 1-10 ტირაჟში თვითეულში გათამაშდება	11-20 ტირაჟში თვითეულში გათამაშდება	21-30 ტირაჟში თვითეულში გათამაშდება	31-40 ტირაჟში თვითეულში გათამაშდება	სულ 40-სავე ტირაჟში გათამაშდება სესხის ყოველ 100 მილიონ მანეთზე
25.000 მანეთი	1	1	1	1	40
10.000 მანეთი	5	5	5	5	200
5.000 მანეთი	10	10	10	10	400
1.000 მანეთი	100	100	100	100	4.000
500 მანეთი	1.000	1.000	1.000	1.000	40.000
200 მანეთი	7.984	7.734	7.534	7.284	305.360
მოგებათა საერთო რაოდენობა	9.100	8.850	8.650	8.400	350.000
მოგებათა საერთო თანხა (მანეთობით)	2.321.800	2.271.800	2.231.800	2.181.800	90.072.000

8. ობლიგაციები, რომლებსაც მოგება არ ხვდათ, იფარება (გამოიყიდება) მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით 1956 წლის 1 ოქტომბრიდან სესხის ვადის დამთავრებამდე დარჩენილი 15 წლის განმავლობაში.

სესხის ყოველ 100 მილიონ მანეთზე გამოიყიდება: 1956-1961 წლებში — 2.500.000 მანეთი, 1962-1966 წლებში — 4.400.000 მანეთი, 1967-1971 წლებში — 5.600.000 მანეთი ყოველწლიურად.

სესხის ობლიგაციები, რომლებიც გამოყიდულ უნდა იქნას 1956-1970 წლებში, განისაზღვრება დაფარვის ყოველწლიური ტირაჟებით; დაფარვის ტირაჟების ვადებს აწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

ის ობლიგაციები, რომლებიც დაფარვის ტირაჟებში არ გასულან, გამოიყიდება 1971 წლის 1 ოქტომბრიდან.

9. ობლიგაციები, რომლებსაც მოგება ხვდათ, აგრეთვე ობლიგაციები, რომლებიც გამოყიდულ უნდა იქნას მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით, შეიძლება წარდგენილ იქნას გასანაღდებლად 1972 წლის 1 ოქტომბრამდე; გასანაღდებლად წარუდგენელი ობლიგაციები ამ ვადის გასვლის შემდეგ კარგავენ ძალას და განაღდებული არ იქნებიან.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. ზვერევი

სამშობლოს ძლიერებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის

ჩვენი რესპუბლიკის მშრომლები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით, პატრიოტული აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის 3 მაისის დადგენილებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაზე ამ დადგენილების რადიოთი გადმოცემისთანავე გაიმართა ხალხმრავალი კრებები. მუშებმა და მოსამსახურეებმა, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საბჭოთა მთავრობის ამ ახალ ღონისძიებას, რომელიც მიმართულია სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების, კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის, ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ახალი მძლავრი აღმავლობისაკენ.

საბჭოთა ხალხს არაერთხელ დაუდასტურებია თავისი მზადყოფნა ერთსულოვნად დაუჭიროს მხარი ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიებას, რომლებიც მიმართულია კომუნიზმის მშენებლობის დაჩქარებასა და მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ. ასეა ახლაც. როგორც კი დამთავრდა სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი კრებები, ყველგან ფართოდ გაჩაღდა ახალ სესხზე ხელმოწერა. საბჭოთა ადამიანები, სოციალისტური სამშობლოს პატრიოტები ხალისით აძლევენ სესხად სახელმწიფოს თავიანთ შრომითს დანაზოგს, ვინაიდან მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ მათ მიერ დაზოგილი და სახელმწიფოსათვის სეს-[illegible]

[illegible] ლების კეთილმოწყობა. ომისშემდგომ წლებში ათეულ ათასობით კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს ქალაქებისა და მუშათა დაბების მშრომლებმა. ათასობით კეთილმოწყობილი სახლი აიშენეს კოლმეურნეებმა. სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომმა წინსვლამ, კოლმეურნეობების შემოსავლის გადიდებამ უფრო შეძლებული და საამური გახადა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა ცხოვრება.

მაგრამ საბჭოთა ადამიანები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური ბელადის დიდი სტალინის წინამძღოლობით მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმისაკენ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ამას წინათ დაამტკიცა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც მარტო სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად 178,5 მილიარდ მანეთს ითვალისწინებს. ეს თანხა 21,2 მილიარდი მანეთით სჭარბობს გასულ წელს ამავე მიზნით გამოყოფილ სახსრებს. აღნიშნული თანხიდან კაპიტალურ მშენებლობას 132 მილიარდი მანეთი მოხმარდება.

უდიდესი სამუშაოები ხორციელდება ჩვენს რესპუბლიკაშიც; მრავალი ათეული მილიონი მანეთი მოხმარდება ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობას, საექსპლოატაციოდ ნაწილობრივ გადაცემულ საწარმოთა დამთავრებას, ენერგეტიკულ და სამელიორაციო სამუშაოებს, ახალი ბინების აგებას, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი მანქანებითა და მექანიზმებით აღჭურვას.

[illegible]

ბობების აშენებას; ქალაქების, დაბებისა და საკოლმეურნეო სოფლების კეთილმოწყობა-გამშვენიერებას; ქვეყნის საწარმოო ძალთა შემდგომ აღმავლობას; ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული სტალინური პროგრამის განსახორციელებელ სამუშაოთა შესრულებას.

ომისშემდგომ ხუთწლედში უმაგალითოდ განვითარდა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა და მთლიანად სოციალისტური სახალხო მეურნეობა. რუსთავის მეტალურგიული გიგანტი, ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურები, მთელი რიგი ახალი შახტები, თბილისის ლოკომოტივსარემონტო და ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი ქარხნები, გორის საფეიქრო კომბინატი და ათობით სხვა საწარმო ომისშემდგომი ხუთწლედის პირმშოა. სამრეწველო საწარმოთა და ჰიდროელსადგურების მშენებლობასთან ერთად ფართოდ იყო გაჩაღებული სამგორის სარწყავი სისტემისა და მთელი რიგი სხვა ახალი არხების მშენებლობა, ქალაქებისა და სოფ-[illegible]

[illegible] ჭოთა, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის საპატიო და პასუხსაგები ამოცანაა. ფართო მასობრივსააგიტაციო მუშაობით უზრუნველვყოთ ახალ სესხზე ხელმოწერაში თვითეული მშრომელის მონაწილეობა. „სესხად მივცეთ სახელმწიფოს შრომითი დანაზოგი თანხები" — ასეთი ლოზუნგით, სრული ნებაყოფლობის საფუძველზე, უნდა წარიმართოს სესხზე ხელმოწერა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომლები, რომლებიც მუდამ ერთსულოვნად აწერენ ხელს სახელმწიფო სესხებს, უეჭველია ახლაც ასეთივე პატრიოტული აღმავლობით მოაწერენ ხელს ახალ სესხს და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ სოციალისტური სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

არც ერთი მშრომელი უობლიგაციოდ!

ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა

ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებმა 27 აპრილისათვის, 23 დღით ადრე, ვიდრე გასულ წელს, 100,1 პროცენტით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ახალი სესხის გამოშვებას

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაჩაღებულია ახალ სესხზე ხელმოწერა

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა საქართველოს მშრომლები მთავრობის დადგენილებას ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიმართა სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი კრებები. მუშა-მოსამსახურეებმა, კოლმეურნეებმა, მასწავლებლებმა, საკოლმეურნეო სოფლის მუშაკებმა ყველგან ფართოდ გაიჩაღეს სესხზე ხელმოწერა.

თბილისი

დედაქალაქის ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, საწარმო-დაწესებულებებში გუშინ საღამოს მოეწყო ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი სახელდახელო მიტინგები და კრებები. თავიანთ სიტყვებში მშრომელები ერთსულოვნად იწონებდნენ მთავრობის გადაწყვეტილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ და აცხადებდნენ მზადყოფნას მისცენ თავიანთი შრომითი დანაზოგი სესხად სახელმწიფოს.

[illegible]

ტით გავანაღდეთ, გეგმის გადამეტებით 42 ათასი მეტრი მზა ქსოვილი გამოვუშვით. დარწმუნებული ვარ ამ ფაბრიკის კოლექტივი მოწინავე იქნება სესხის გავრცელებაშიც. ჩვენი ვალია საბჭოთა მთავრობას მივცეთ ჩვენი შრომითი დანაზოგი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

— უდიდესი სიხარულით ვაძლევ სამშობლოს სესხად თვენახევრის ხელფასს,— თქვა სტახანოველმა მრთველმა ვ. ჯოხაძემ, — ვიცი, რომ იგი მოხმარდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობას, კომუნიზმის დიად მშენებლობათა ვადამდე დამთავრებას.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სტახანოველი მქსოველი ბ. კოკოლაშვილი და მაუდის საამქროს ცვლის ოსტატი ი. ჯორჯაძე. მიტინგის შემდეგ ფაბრიკის საამქროებში შეუდგნენ ახალ სესხზე ხელმოწერას.

ერთსულოვნად შეუდგნენ ახალი სესხის გავრცელებას თბილისის საორთქლმავლო და საელმავლო დეპოებში, დაზგათმშენებელ და მანქანათმშე-[illegible]

[illegible] ზეინკალმა ნ. ფილიპოვმა და სხვებმა ხელი მოაწერეს ექვსი კვირის ხელფასზე.

ახალ სესხზე ხელმოწერა წარმატებით მიმდინარეობს მომთუთიებელ, ფანერისა და ტყავის ქარხნებში, სამკერვალო, თამბაქოს და ფეხსაცმლის ფაბრიკებში, სავაგონო და საორთქლმავლო დეპოებში და ყველა სხვა საწარმო-დაწესებულებაში.

სოხუმი

საორთქლმავლო დეპოში მოწვეულ მიტინგზე შეიკრიბნენ მემანქანეები და ორთქლმავლის შემკეთებლები.

— სიხარულით მივცემ სესხად სახელმწიფოს ჩემს შრომითს დანაზოგს, განაცხადა ლუნინელმა მემანქანემ აკაკი ფრანგიშვილმა, — რადგან ვიცი, რომ იგი მოხმარდება სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ხალხის კეთილდღეობას.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და დიდ თანხაზე მოაწერეს ხელი ლუნინელმა მემანქანეებმა ი. ხაბეიშვილმა, ქ. ამაღლობელმა, [illegible]

[illegible] ჭოთა სამშობლოსადმი, მშობლიური სტალინისადმი მშრომელთა უსაზღვრო ერთგულების ბრწყინვალე დემონსტრაციად.

— მე სიხარულით ვაძლევ სესხად მთავრობას ჩემს შრომითს დანაზოგს,— განაცხადა მარტენის საამქროს მუშამოსამსახურეთა მიტინგზე ფოლადის ჩქაროსნული დნობის ოსტატმა გიორგი სიგუამ, — ღრმად მწამს, რომ ეს თანხა მოხმარდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს და სესხზე უდიდესი აღფრთოვანებით მოაწერეს ხელი სტახანოველმა მეფოლადეებმა ვ. გიგიბერიამ, ვ. იაშვილმა, შ. კუხალეიშვილმა და სხვებმა.

ასეთივე ერთსულოვნებით დაიწყო სესხზე ხელმოწერა ბლუმინგის საამქროში, თბოელექტროცენტრალში, სარემონტო-მექანიკურ ქარხანაში და სხვა საწარმოებში.

ქუთაისი

ხალხმრავალი კრებები, მიძღვნილი [illegible]

[illegible]

1951 წლის სახელმწიფო სესხი

უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა ქართველი ხალხი სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებას ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

სახელმწიფო სესხების გამოშვება ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის იწვევს მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკური აქტივობის აღმავლობას. საბჭოთა ხალხი სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერით ცხადყოფს თავის მტკიცე დარაზმულობას ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ქვეშ, უსაზღვრო ერთგულებას და სიყვარულს თავისი ბელადის დიდი სტალინისადმი.

საბჭოთა სახელმწიფო სესხები ყოველთვის ასრულებდნენ და ახლაც ასრულებენ უდიდეს როლს სოციალისტურ მშენებლობაში. სიამაყის გრძნობით აღავსო თვითეული საბჭოთა ადამიანის გული სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ამასწინანდელმა ცნობამ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად დიდი გამარჯვებებით შეხვდა ქართველი ხალხი 1951 წელს. საერთო პროდუქციის გამოშვების ომისშემდგომი პირველი სტალინური ხუთწლედი საქართველოს მრეწველობამ 106,6 პროცენტით შესრულა და წარმოების მოცულობით 1940 წლის დონეს 52,3 პროცენტით გადააჭარბა. სულ უფრო და უფრო მეტად ვითარდება ჩვენს რესპუბლიკაში მძიმე ინდუსტრია. უმაგალითო აღმავლობით ხასიათდება საქართველოს სოფლის მეურნეობა ომისშემდგომ წლებში, ძირფესვიანად შეიცვალა ქართული სოფლის სახე, შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ კოლმეურნეები.

სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების შედეგად სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი მარტო 1950 წლის განმავლობაში გაიზარდა 21 პროცენტით და გადააჭარბა 1940 წლის დონეს 64 პროცენტით, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 38 პროცენტისა. ამით შეიქმნა საჭირო მატერიალური ბაზა კომუნიზმის მშენებლობის ტემპის დასაჩქარებლად და ხალხთა მასების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ ასამაღლებლად.

კომუნიზმის დიადი სტალინური მშენებლობანი თურქმენეთში, ვოლგაზე, დნეპრზე და ყირიმში ძირფესვიანად შეცვლიან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას, უფრო მაღალ დონეზე აიყვანენ მას და შექმნიან პირობებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის.

საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავლის 74 პროცენტი ხმარდება მშრომელთა პირადი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ხოლო ნაციონალური შემოსავლის 26 პროცენტი გამოყენებულია სოციალისტური წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, აგრეთვე საერთო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

1947 წლიდან დაწყებული, საბარათო სისტემის გაუქმებასთან ერთად, ოთხჯერ ჩატარდა ფართო მოხმარების საქონლის ფასების შემცირება. მკვეთრად გაიზარდა მოხმარება. გასულ წელს საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ 30 პროცენტით მეტი საქონელი იყიდა, ვიდრე 1949 წელს.

ეს მოწმობს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის სწრაფ აღმავლობას.

ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ღონისძიებათა დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ის სახსრები, რასაც სახელმწიფო იღებს შინაგანი სახელმწიფო სესხების გავრცელებიდან მშრომელთა შორის ნებაყოფლობითი ხელმოწერის გზით. ომამდელ სტალინურ ხუთწლედებში მოსახლეობას შორის ხელმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხებიდან საბჭოთა სახელმწიფომ მიიღო დაახლოებით 50 მილიარდი მანეთი, რაც გამოყენებული იყო სტალინური ხუთწლედების შესასრულებლად. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში მშრომელებმა სესხებად მისცეს თავიანთ სახელმწიფოს 76 მილიარდი მანეთი. ომისშემდგომ წლებში საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სესხები, რომლებსაც ისე როგორც ყველა წინა სესხებს, მხურვალედ დაუჭირა მხარი მთელმა საბჭოთა ხალხმა. მეხუთე სახელმწიფო სესხი, რომელიც გასულ წელს გამოშვებულ იქნა 20 მილიარდი მანეთის ოდენობით, გავრცელდა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით, 27 მილიარდ მანეთზე მეტი თანხით.

საბჭოთა სახელმწიფო სესხების წარმატების საიდუმლოება ის არის, რომ ისინი ხალხის ინტერესებს შეესაბამებიან, რომ ისინი ხელს უწყობენ კომუნიზმის მშენებლობის დაჩქარებას, ხალხის კეთილდღეობის ახალ აღმავლობას. ამასთან ერთად, ჩვენი სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მფლობელნი მნიშვნელოვან შემოსავალს იღებენ მოგებათა სახით.

ომისშემდგომ ხუთწლედში საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ სესხების მოგებათა სახით მიიღო დაახლოებით 17 მილიარდი მანეთი, აქედან 1950 წელს გაცემულია 3,7 მილიარდი მანეთი. წელს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა სახელმწიფო სესხებიდან მიიღებს 5 მილიარდ მანეთ მოგებას.

1946-1950 წლებში საქართველოს სსრ მოსახლეობამ სახელმწიფო სესხებიდან მიიღო 406 მილიონი მანეთი მოგება, ხოლო 1951 წლის პირველ კვარტალში, არასრული ცნობებით, კიდევ 23.123 ათასი მანეთი.

ქართველი ხალხი სახელმწიფო სესხებზე ხელმოწერის საქმეში მუდამ მოწინავე იყო. მეოთხე (ომისშემდგომი პირველი) სტალინური ხუთწლედის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა სახელმწიფოს სესხად მისცეს 2.576.410 ათასი მანეთი.

სსრ კავშირის მთავრობის მიერ ახალი სესხი გამოშვებულია სახელწოდებით „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1951 წლის გამოშვება)". ახალი სესხის გამოშვების მიზანია მოსახლეობის სახსრების მოზიდვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ, მდინარე ვოლგაზე კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების, მდინარე დნეპრზე კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის, თურქმენეთის მთავარი არხის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლობათა დასაფინანსებლად.

სესხი გამოშვებულია 30 მილიარდი მანეთი თანხით. მისი დაფარვის ვადაა 20 წელი — 1951 წლის 1 ოქტომბრიდან 1971 წლის 1 ოქტომბრამდე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვების) გავრცელება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

ახალი სესხის გავრცელებასთან დაკავშირებული მთელი მუშაობა უნდა ჩატარდეს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობით, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების და მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით. ამ მუშაობის უმთავრესი ამოცანაა მიღწეულ იქნას ახალ სესხზე ხელმოწერაში თვითეული მშრომელის მონაწილეობა. საჭიროა განემარტოს მოსახლეობას ჩვენი სესხების როლი კომუნიზმის მშენებლობის დიადი სტალინური გეგმის განხორციელებაში. ამასთან ერთად მოსახლეობას დაწვრილებით უნდა განემარტოს ახალი სესხის გამოშვების პირობები, მისი გავრცელების წესი და ის სარგებლობა, რომელსაც იღებენ ობლიგაციის მფლობელნი.

სესხის გავრცელების წარმატებისათვის გაშლილ მუშაობაში მტკიცედ უნდა იქნას დაცული ხელმოწერის ნებაყოფლობა. თვითეული მუშა, მოსამსახურე, გლეხი, დიასახლისი, მოსწავლე, თვითეული მოქალაქე თვითონ განსაზღვრავს თავის ხელმოწერის თანხას, აგრეთვე ობლიგაციების იმ ღირებულებას და რაოდენობას, რომელიც მას სურს მიიღოს.

როგორც ცნობილია, წინა წლებში ჩვენი კოლმეურნე გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხელის მოწერისთანავე ნაღდი ფულით ფარავდა ხელის მოწერის მთელ თანხას, რითაც გამოხატავდა თავის პატრიოტიზმს, თავის ერთგულებასა და სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი. მოწინავე კოლმეურნეების ასეთ მაგალითს უდიდესი სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და მას მხურვალედ უნდა დავუჭიროთ მხარი.

ადგილობრივმა საფინანსო ორგანოებმა, სახელმწიფო შრომის შემნახველმა სალაროებმა და საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში არსებულმა სახელმწიფო კრედიტისა და შემნახველი საქმის დამხმარე კომისიებმა სესხზე ხელმოწერისას მაქსიმალური ოპერატიულობა უნდა გამოიჩინონ. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ სესხის გავრცელების წარმატების პირობაა საწარმოებში, დაწესებულებებში, საფინანსო აპარატთან, სოფლის საბჭოების რწმუნებულებთან და შემნახველ სალაროებში სესხზე ანგარიშსწორების, აღრიცხვისა და ანგარიშგების ზუსტი წარმოება.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სესხზე ხელმოწერის მთელი დოკუმენტაციის სწორად გაფორმებას.

სესხის გავრცელების პირველი დღიდანვე მთელი სისრულით უნდა იყოს აღრიცხული სესხზე ხელმოწერის თანხა ქალაქად და სოფლად, ხელმოწერის ანგარიშში შეტანილი ნაღდი ფული.

სოფლად ახალი სესხის წარმატებით გავრცელება ბევრად არის დამოკიდებული სასოფლო საბჭოების რწმუნებულთა მუშაობაზე.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად მოაწერენ ხელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალ სახელმწიფო სესხს და ამით ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა სამშობლოს, საყვარელი ბელადის, მამისა და მასწავლებლის დიდი სტალინისადმი.

რ. კვირკველია
საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი

პირველი მაისი წითელ მოედანზე

მაისის დილა მოსკოვში. წითელი მოედანი. კრემლის გალავანთან აშოლტილი ნაძვის ხეები. ლენინის ლიდებული მავზოლეუმი. თეთრი ქვის ტრიბუნებზე ადგილებს იკავებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, სტალინური პრემიის ლაურეატები, ქალაქისა და სოფლის სახელმოხვეჭილი სტახანოველები, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მოძმე რესპუბლიკებიდან და მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსკოვს საპირველმაისო დღესასწაულზე ჩამოსული სტუმრები.

წითელ მოედანზე არიან დელეგაციები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა, რომლებიც მტკიცედ მიდიან წინ ეკონომიური და კულტურული აღმავლობის გზით, სოციალიზმის მშენებლობის გზით; წარმოგზავნილნი დიდი ჩინელი ხალხისა, რომელმაც მოიპოვა თავისი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა და წარმატებით ქმნის ახალ ცხოვრებას; დელეგატები თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხისა, რომელიც გმირულად იბრძვის თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უცხოელ დამპყრობთა შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ; სტუმრები, ჩამოსულნი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რომელიც იბრძვის გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის. აქ არიან საფრანგეთის, იტალიის, დასავლეთ გერმანიის, ავსტრიის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ისლანდიის, ფინეთის, შვეციის, დანიის, ჰოლანდიის, კუბის მუშათა კლასის წარმოგზავნილნი, მშვიდობისათვის მამაცი მებრძოლნი, რომლებიც მოსკოვს ჩამოვიდნენ, რათა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს შეხვდნენ საბჭოთა ხალხთან ერთად.

წითელ მოედანზე დგანან პარადისათვის გამზადებული ჯარები. ყველა გვარეობის ჯარის მეომრები საზეიმო მარშის სიგნალს ელოდებიან.

ყველას თვალი მიპყრობილია მავზოლეუმისაკენ. მის გრანიტის საფეხურებზე ადიან ამხანაგი ი. ბ. სტალინი, ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, მ. თ. შკირიატოვი. ტრიბუნებზე გაისმის მისასალმებელი ტაში.

დილის 10 საათია.

კრემლის მაცხოვრის კარიდან საპირველმაისო პარადის მისაღებად გამოდის სამხედრო მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი. მავზოლეუმთან მარშალს ხვდება პარადის სარდალი—მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პ. ა. არტემიევი. მოკლე პატაკის შემდეგ იწყება ჯარების ჩამოვლა. მარშალი ვასილევსკი ულოცავს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს 1 მაისის დღესასწაულს. საპასუხოდ ჯარის მწკრივებში გაისმის მძლავრი „ვაშა!"

რამდენიმე წუთით წითელი მოედანი სიწყნარემ მოიცვა. მაგრამ აი შეირხა მრავალსაკრავიანი ორკესტრი. ძლერს გლინკას დიდებული მელოდია „იდიდე". ჯარების ჩამოვლა დამთავრდა. მარშალი ვასილევსკი ადის მავზოლეუმის ტრიბუნაზე და სიტყვით მიმართავს პარადისათვის ჩამწკრივებულ ჯარებს, ჩვენი ქვეყნის მთელ შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა ხალხს, პირველი მაისის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირში ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს.

საბჭოთა კავშირის მარშალ ა. მ. ვასილევსკის სიტყვა

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო! ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო! საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ჩვენო ძვირფასო უცხოელო სტუმრებო, რომლებიც ჩვენში ჩამობრძანდით საპირველმაისო დღესასწაულზე!

საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით მოგესალმებით და მოგილოცავთ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველი მაისის დღეს.

დიდი სიხარულის გრძნობით ხვდებიან საბჭოთა ადამიანები პირველი მაისის დღესასწაულს. ჩვენმა ხალხმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის პარტია, მოიპოვა ახალი დიდი გამარჯვება, წარმატებით შეასრულა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა. ხუთწლიანი გეგმის უმნიშვნელოვანესი დავალებანი შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით.

ასრულებდნენ რა დიდი სტალინის მოწოდებას, ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ არ დაიშურეს ძალა და შრომა, რათა ღირსეულად განეხორციელებინათ ეს ისტორიული ამოცანა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ახალი მძლავრი აღმავლობის გზით მიდის სწრაფი ტემპით ვითარდება ჩვენი ინდუსტრიის ყველა დარგი. იზრდება და მტკიცდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა, ფართოვდება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჩვენი ხალხი დიდი აღფრთოვანებით ახორციელებს მსოფლიოში უდიდესი ელექტროსადგურებისა და არხების მშენებლობას. დიდი მასშტაბით წარმოებს სახალხო მეურნეობის შემდგომი ტექნიკური ხელახალი აღჭურვა. წლითიწლობით იზრდება ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი. სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობის საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად მცირდება მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები, უმჯობესდება ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. მოპოვებულია ახალი წარმატებანი კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში.

კომუნიზმისაკენ ჩვენს წინსვლასთან ერთად სულ უფრო მკაფიოდ იჩენენ თავს საბჭოთა ადამიანების მაღალი სულიერი თვისებანი, იზრდება მათი შეგნებულობა და შემოქმედებითი ინიციატივა. ამის მსგავსი არაფერია და არც შეიძლება იყოს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირის ხალხების მაგალითისამებრ წარმატებით მიდიან წინ სოციალიზმის მშენებლობის გზით სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები. წარმატებით აშენებს ახალ ცხოვრებას დიდი ჩინელი ხალხი.

მაშინ როცა საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ სამეურნეო და კულტურული განვითარების საქმეს, კაპიტალის ქვეყნებში, რომელთაც მეთაურობენ ამერიკელი იმპერიალისტები, წარმოებს გამალებული მზადება ახალი მსოფლიო ომისათვის.

ამერიკელ მონოპოლისტებს ომი ესაჭიროებათ სხვა ქვეყნების გასაძარცვავად და დასამონებლად. სწორედ ამიტომ უარყვეს მათ საბჭოთა მთავრობის წინადადებანი მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

ამერიკელი იმპერიალისტები უკვე ათ თვეზე მეტია, რაც დამპყრობლურ ომს ეწევიან თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ. ამ უსამართლო ომს კარგი არაფერი მოუტანია ამერიკელი ხალხისათვის და ვერც მოუტანს. ამერიკელი იმპერიალისტები ვერ მიჩქმალავენ თავიანთი აგრესიული პოლიტიკის კრიზისს, მათ ვერ უშველის ვერც უხეში მანევრები, რითაც ისინი ცდილობენ ახსნან თავიანთი მარცხი კორეაში.

იმპერიალისტთა აგრესიული პოლიტიკა ხალხთა ფართო მასების დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ხალხებს არა სურთ ომი. ყველა ქვეყანაში აგრესიული ძალების წინააღმდეგ მიმართული მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობა, რომელიც დღითიდღე იზრდება.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი პოლიტიკა ნათელია. ჩვენი მთავრობა მუდამ ახორციელებდა და კვლავაც განუხრელად განახორციელებს ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის დაცვის პოლიტიკას. ამ პოლიტიკას იწონებს მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა.

ამხანაგებო!

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მტკიცედ არიან დარაზმულნი კომუნისტური პარტიისა და თავისი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო, მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

საბჭოთა ხალხის სახელმწიფო ინტერესებისა და შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე დგანან საბჭოთა კავშირის სახელოვანი შეიარაღებული ძალები. ჩვენს ხალხს შეუძლია თამამად დაეყრდნოს საბჭოთა არმიასა და სამხედრო საზღვაო ფლოტს. ისინი მუდამ მზად არიან ღირსეულად და პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

გაუმარჯოს პირველ მაისს, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)—ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს დიდ **სტალინს! ვაშა!**

* * *

კრემლის გალავნის იქით გაისმა საპირველმაისო სალუტის ზალპები. საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

გაისმის ბრძანება, და პარადი იწყება.

პირველ კოლონაში არიან საბჭოთა არმიის ოფიცრები, სამხედრო აკადემიების მსმენელები.

სამხედრო აკადემიების კოლონას ცვლის მეზღვაურთა კოლონა.

მოდიან მეზღვაურები—რუსეთის ფლოტის სახელოვანი ტრადიციების მატარებელნი, იმ ლეგენდარული „ავრორის" მატროსთა შვილები, რომელმაც თავისი ზალპებით ქვეყანას ამცნო, რომ დაიწყო ახალი ერა—დიდი სოციალისტური რევოლუციის ერა...

როცა მეზღვაურები მავზოლეუმს მიუახლოვდნენ, ცაში გამოჩნდნენ პირველი თვითმფრინავები. დაიწყო საპირველმაისო საჰაერო პარადი.

საფლაგმანო ოთხმოტორიან ხომალდზეა საჰაერო პარადის სარდალი, ავიაციის გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი ვ. ი. სტალინი. ფლაგმანის ესკორტია ოთხი სწრაფი ავიაგამანადგურებელი.

სანამ ცაში მიფრინავდნენ ფრთოსანი მეომრები, წითელ მოედანზე შემოვიდნენ ჩვენი ქვეყნის უძველესი სამხედრო სასწავლებლის—მოსკოვის რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის წითელდროშოვანი ქვეითი სამხედრო სასწავლებლის კურსანტები. მხარზე შაშხანაგადებულნი მოდიან ახოვანი, მხარბეჭიანი რუსი დევგმირები. არ ირხევა ხიშტების სწორი ხაზი. არ ირყევა მწყობრი. ეს სიმწყობრე, მტკიცე ნაბიჯი, რიგების იდეალური სწორობა საუკუნეობრივი ტრადიციის ძალაა.

შემდეგ მოდიან მესაზღვრეები, საბჭოთა ხალხის საყვარელი შვილები, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ათეულ ათასობით კილომეტრი საზღვრების გუშაგები.

მესაზღვრეებს მოჰყვებიან საპირველმაისო პარადის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეები—სუვოროველები და ნახიმოველები. კალინინისა და ტულის სუვოროვის სასწავლებლების, თბილისის ნახიმოვის სასწავლებლის მოწაფეები, სახელგანთქმული მეომრებისა და მეზღვაურების შვილები ცდილობენ თავიანთ მამების ღირსნი იყვნენ.

გაიარეს ნახიმოველებმა და მოედანიც დაცარიელდა. ვაჟკაცურ სალაშქრო მარშს ცვლის მელოდიური „მარში წინანდელ ლაშქრობათა". გულში ჩამწვდომია ამ მარშის ხმები—სამოქალაქო ომის სიმღერების ნაცნობი ჰანგები. მეხსიერებაში ცოცხლდება პირველი ცხენოსანი არმიის ლეგენდარული ლაშქრობანი. აი ცხენთა რიტმული თქარათქური ქვაფენილზე.

ცხენოსნები!..

წითელ მოედანზე შემოდიან ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის სუვოროვის ორდენოსანი წითელდროშოვანი გვარდიის მსროლელი დივიზიის პოლკები.

საუცხოო მწყობრში ოთხ-ოთხად მიდიან ტამანის მსროლელი დივიზიის ჯავშანტრანსპორტერები. ტამანელთა უკვე ეს უნაკლო მწყობრი წარმოადგენს მათი პატაკს სამხედრო საქმის დაუფლების შესახებ.

მოედანზე შემოდის საპირველმაისო პარადის საარტილერიო კოლონა. საზენიტო ქვემეხებს მოჰყვებიან ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნები, შემდეგ საშუალო და მძიმე ქვემეხები.

ჩაიქროლეს სწრაფმა „კატიუშებმა".

ისტორიის მუზეუმის მხრიდან გამოჩნდა სატანკო კოლონა.

გაღებულია [illegible] ... აღმართულია კანტემიროვის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი დივიზიის გვარდიელთა დროშა.

ტექნიკით აივსო წითელი მოედანი. ტანკები და მრავალი კალიბრის თვითმავალი ქვემეხები განუწყვეტელ ნაკადად მიედინებიან მავზოლეუმის წინ.

„ის" მარკის ტანკების მარში, როგორც საბჭოთა არმიის ურყევი ძლიერების სიმბოლო, ამთავრებს საპირველმაისო პარადს.

პარადი დამთავრდა.

მან კვლავ დაანახვა მთელ მსოფლიოს საბჭოთა არმიის ტექნიკური აღჭურვილობის მაღალი დონე, რაც გამოხატავს სოციალისტური მრეწველობის განუხრელ ზრდას, ტექნიკური აზრის განუწყვეტელ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

* * *

იწყება მოსკოვის მშრომელთა დემონსტრაცია.

სადღესასწაულოდ მოკაზმულა დედაქალაქი. შენობებზე გაკრულია წითელი ტილოები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებით, პანოები, ტრანსპარანტები, ალმები, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

მშრომელთა კოლონების თავზე ფრიალებენ წითელი ალმები, ტილოები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებით, ტრანსპარანტები, რომლებზეც აღბეჭდილია ომისშემდგომ ხუთწლედში საბჭოთა ხალხის შესანიშნავ გამარჯვებათა ამსახველი ციფრები. ვეებერთელა პანოები ასახავენ საბჭოთა ადამიანების დაუღალავ ბრძოლას მშვიდობისათვის. კოლონებს მოაქვთ დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ათასობით პორტრეტი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

დიდებული, საზეიმო სახე აქვს წითელ მოედანს.

1.200 მედროშე იწყებს დედაქალაქის მშრომელთა სადღესასწაულო სვლას.

წითელ მოედანზე მოდის პიონერთა კოლონა. ბავშვებს ხელთ უპყრიათ წითელი ყაყაჩოები. წინ ასი პატარა მუსიკოსი უკრავს მარშს.

მათ მოჰყვება სასკოლო ფორმით გამოწყობილი რვა წლის ბავშვი ირა მელნიკოვა, მოსკოვის 131-ე სკოლის პირველი კლასის მოსწავლე. მას ხელში აქვს ყვავილების ვეებერთელა თაიგული.

პიონერებს მოაქვთ ამხანაგ სტალინის დიდი, ყვავილებით მორთული პორტრეტი.

კოლონა მავზოლეუმს მიუახლოვდა. ირა მელნიკოვა მწკრივიდან გამოვიდა, მავზოლეუმის ტრიბუნებისაკენ გაეშურა, საფეხურებზე ავიდა და ყვავილების თაიგული ამხანაგ სტალინს მიართვა.

მოედანზე ერთსა და იმავე დროს ჩაიარეს დედაქალაქის კიროვის, ლენინის, კრასნაია პრესნიის, საბჭოს, სვერდლოვისა და სხვა რაიონების მშრომელებმა.

მშრომელთა თვალი მიპყრობილია ტრიბუნისაკენ, საყვარელი ბელადისადმი. გრიალებს „ვაშა", გაისმის შეძახილები მასწავლებლისა და მეგობრის, მშობლიური სტალინის პატივსაცემად.

კიროვის რაიონის მშრომელებს მოაქვთ ამხანაგ სტალინის პორტრეტი, მორთული ყვავილებით. ცოცხალი ყვავილების ტრანსპარანტზე ელვარებენ სიტყვები:

„დიდება დიდ სტალინს!"

აი მოდიან ლენინის რაიონის მშრომელნი. მოდიან მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი მეცნიერების მოღვაწენი. ტრანსპარანტზე აღბეჭდილია სიტყვები: „მარქსისტულ-ლენინური თეორია დიადი ძალაა კომუნიზმისათვის ბრძოლაში".

მეცნიერებს მოაქვთ დიდი ბელადისა და მეცნიერების კორიფეს ი. ბ. სტალინის პორტრეტი.

მეცნიერთა გვერდით მოდის ქარხანა „კრასნი პროლეტარის" კოლონა. კრასნოპროლეტარელები სამშობლოს უპატაკებენ საპირველმაისო სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებას.

ადამიანთა მძლავრ ნაკადს დასასრული არ უჩანს. გრიალებს „ვაშა" დედაქალაქის მოედანზე. ათასობით პანოზე, წითელ ტილოზე მოსკოვის მშრომელებმა შრომის დღესასწაულს—პირველი მაისის დღეს ასახეს ისტორიული გამარჯვებანი ომისშემდგომ ხუთწლედში. ისინი ამაყობენ ომისშემდგომი ხუთწლედის წარმატებებით, პირობას აძლევენ პარტიას, ამხანაგ სტალინს, რომ კვლავაც განამტკიცებენ ჩვენი ქვეყნის ძლიერებას, გაადიდებენ მის სიმდიდრეს, წარმატებით აშენებენ კომუნიზმს.

ტრიბუნებს ჩაუარეს კრასნაია პრესნიას — სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების რაიონის მშრომელებმა. მათ შორის არის ძერჟინსკის სახელობის ტრიოხგორნაია მანუფაქტურის კომბინატის კოლექტივი. უზარმაზარ პანოს აწერია:

— ბამბეულის წარმოება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის წლებში 2,4-ჯერ გაიზარდა.

მოდიან მშენებლები, წლითიწლობით იზრდება, მშვენდება საყვარელი მოსკოვი — ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერების ჩირაღდანი, ახალი საბჭოთა ეპოქის მედროშე. შარშან მშენებლებმა აავეს 800-ზე მეტი სახლი. წელს ისინი ააშენებენ 710 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს...

„მშვიდობისათვის!" — ეს სიტყვები კაშკაშებს ტრანსპარანტებზე მშრომელთა კოლონებში.

ალისფერი დროშები, ლენინის და სტალინის პორტრეტები მოაქვთ რაიონის უდიდესი საწარმოს — ვლადიმერ ილიას-ძის ქარხნის მუშებს.

ხელოვნების მუშაკთა კოლონას წინ მოუძღვიან სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის, მოსკოვის აკადემიური სამხატვრო თეატრისა და აკადემიური მცირე თეატრის კოლექტივები.

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს, საბჭოთა ადამიანები გულითად სალამს უძღვნიან მთელი მსოფლიოს ხალხებს.

დემონსტრანტებს მოაქვთ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ. ბერუტის, პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცირანკევიჩის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კ. გოტვალდის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ა. ზაპოტოცკის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვ. ჩერვენკოვის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. დამიანოვის, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. რაკოშის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ი. დობის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის შ. რონაის, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გ. გეორგიუ-დეჟის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პ. გროზას, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. პარხონის, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ენვერ ხოჯას, ალბანეთის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ომერ ნიშანის პორტრეტები.

საბჭოთა კავშირის მშრომელები მიესალმებიან პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ალბანეთის ხალხებს, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზას ადგანან.

დღითიდღე მტკიცდება სსრ კავშირისა და ჩინეთის მშრომელთა ურღვევი მეგობრობა. მოედანზე გრიალებს „ვაშა", როცა გაისმის მისალმება დიდი ჩინელი ხალხისადმი, რომელმაც მოიპოვა თავისი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა და წარმატებით ქმნის ახალ ცხოვრებას. ოქტომბრის რაიონის მშრომელებს მოაქვთ ჩინელი ხალხის ბელადის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის, ჩინეთის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლიუ შაო-ცის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ჟუ დეს პორტრეტები.

საერთაშორისო დღესასწაულის დღეს საბჭოთა ადამიანები მიესალმებიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. ისინი ძმურ სალამს უძღვნიან აგრეთვე თავისუფლებისმოყვარე კორეელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, უცხოელ დამპყრობთა შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ.

დემონსტრანტების კოლონების თავზე აღმართულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. პიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ო. გროტევოლის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვ. ულბრიხტის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის კიმ დუ ბონის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მარშალ ჩოიბალსანის პორტრეტები. დემონსტრანტებს მოაქვთ აგრეთვე მოძმე კომპარტიების ხელმძღვანელთა, — ფრანგი ხალხის ბელადის მ. ტორეზის, იტალიელი ხალხის ბელადის პ. ტოლიატის, ამერიკის რევოლუციური მუშათა კლასის ბელადის უ. ფოსტერის, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დოლორეს იბარურის, ინგლისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ჰ. პოლიტის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის პორტრეტები.

ბელადის სახელობის რაიონის მშრომელებს მოაქვთ მხატვრული პანოები, რომლებზეც ასახულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ცალკეული მომენტები.

მოედანზე მოდიან დემონსტრანტთა ახალ-ახალი კოლონები.

წითელ მოედანზე გაიარა მილიონზე მეტმა კაცმა.

დიადი ქალაქის მშრომელებმა კვლავ ცხადყვეს თავიანთი დარაზმულობა პარტიისა და მთავრობის გარშემო, თავიანთი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება დიდი სტალინისადმი.

მოსკოვის მშრომელებმა ცხადყვეს, რომ მზად არიან ამრავლონ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების წარმატებანი, მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარონ კომუნიზმის მშენებლობას და იბრძოლონ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

მშრომელთა დემონსტრაცია, რომელიც 4 საათს გრძელდებოდა, წვიმიანი ამინდის გამო შეწყდა დღის 3 საათზე. (საქტესი).

1951 წლის პირველი მაისის დღესასწაული მოსკოვში. სურათზე: მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე.

ფოტო ა. ბატანოვისა (საქტესის ფოტოქრონიკა)



სამხედრო პარადი და ქ. თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1951 წლის 1 მაისს. ტრიბუნაზე (მარცხნიდან მარჯვნით) — ამხანაგები ზ. კეცხოველი, ს. იშხანოვი, ნ. რუხაძე, ი. კოჭლამაზაშვილი, ვ. ცხოვრებაშვილი, ქ. ციმაკურიძე, ზ. ჩხუბიანიშვილი, არმიის გენერალი ანტონოვი, ქ. ჩარკვიანი, ვ. გოგუა, ვ. ბაქრაძე, მ. ბარამია, რ. შადური, მ. ლელაშვილი, გ. ზამბახიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა

გამარჯვებისა და სიხარულის დიადი დღესასწაული

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისის აღსანიშნავად საზეიმოდ მორთო საქართველოს დედაქალაქი. მიმზიდველად გამოიყურება თბილისის მშრომელთა მრავალი ზეიმისა და სიხარულის მოწმე, დემონსტრაციების ტრადიციული ადგილი — ბერიას მოედანი. დილიდანვე დედაქალაქის ყველა რაიონის მშრომელები ქუჩებში გამოვიდნენ, კოლონებად დაეწყვნენ და ამ მოედნისაკენ გაემართნენ, რათა კვლავ და კვლავ დაედასტურებინათ თავიანთი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, პროგრესული კაცობრიობის გენიალური ბელადის დიდი სტალინისადმი.

...ბერიას მოედნისაკენ დილაადრიან გამოეშურნენ თბილისის გარნიზონის ჯარები ტრადიციულ საპირველმაისო პარადში მონაწილეობის მისაღებად. მოედანი მოზეიმეთ დახვდა ნაირფერად აელვარებული. ქალაქის საბჭოს შენობის თავზე ლაღად და ამაყად ფრიალებს საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო დროშა. შენობის ფასადზეა ძლევამოსილი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელების — კაცობრიობის უდიდესი გენიოსების ლენინისა და სტალინის დიდი პორტრეტები. მოედნის ირგვლივ შენობათა ფასადებზე უამრავი დროშები და ტრანსპარანტებია.

დედაქალაქის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, საწარმოთა სტახანოველებს, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს თავი მოუყრიათ მოედნის გარშემო და უცდიან დღესასწაულის დაწყებას.

ყველაფერი მზად არის შეიარაღებული ძალების საპირველმაისო პარადისათვის. მოედანზე სწორ ოთხკუთხედებად ჩამწკრივებულან გარნიზონის ჯარები. საათის ისარი ათს უახლოვდება. მთავრობის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები: ქ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგუა, მ. ბარამია, ზ. კეცხოველი, ვ. ცხოვრებაშვილი, რ. შადური, გ. ზამბახიძე, ვ. ბაქრაძე, ს. იშხანოვი, ქ. ციმაკურიძე, ი. კოჭლამაზაშვილი, ნ. რუხაძე, მ. ლელაშვილი, გენერლები, მინისტრები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები.

...ათი საათია. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ალაყაფის კარიდან მოედანზე გამოდის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის გენერალი ა. ანტონოვი. მას ეგებება პარადის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ტარასოვი, რომელიც პატაკს აძლევს პარადისათვის ჯარების მზადყოფნის შესახებ.

პატაკის მიღების შემდეგ არმიის გენერალი ა. ანტონოვი იწყებს ჯარების ჩამოვლას. იგი მიესალმება მეომრებს, მიულოცავს მათ პირველი მაისის დღესასწაულს. პასუხად გრიალებს მეომრული მძლავრი „ვაშა“.

ჯარების ჩამოვლა დამთავრებულია. ამხ. ანტონოვი ტრიბუნაზე ადის. იგი მიდის მიკროფონთან და საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით სიტყვით მიმართავს ჯარის ნაწილებსა და მშრომელებს.

არმიის გენერალი ა. ანტონოვი ლაპარაკობს იმ შესანიშნავ მიღწევებზე, რითაც საბჭოთა ხალხი და კერძოდ საქართველოს მშრომელები შეხვდნენ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — 1 მაისს.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. ანტონოვი დღეგრძელობას უსურვებს ჩვენს დიდ სამშობლოს, მის გმირ ხალხს, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა მთავრობას, ბოლშევიკების სახელოვან პარტიას, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ დიდ სტალინს.

ვრცელ მოედანზე გრიალებს მეომრული „ვაშა“. გაისმის ნაცნობი მელოდია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნისა, რომელსაც შემდეგ ცვლის საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ჰანგები.

პარადს იწყებს ოფიცერთა ჯგუფი. მოედანზე მოდიან სახელმოხვეჭილი საბჭოთა ოფიცრები. მათ შორის ცოტა როდია დიდი სამამულო ომის მამაცი მეომარი. ამას მოწმობს საბრძოლო ჯილდოები, რომლებიც მათ მკერდზე ბრწყინავს. ოფიცერთა შემდეგ მწყობრი, დარაზმული რიგებით ჩაიარეს სამხედრო სასწავლებელთა კურსანტებმა, სხვადასხვა გვარეობის ჯარის ნაწილებმა. ამაყად, მტკიცედ მოაბიჯებენ მსროლელები, მეკავშირეები...

ლესელიძის ქუჩის მხრიდან მოედანზე გამოვიდნენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების მექანიზებული ნაწილები. ჩაიარეს სახელოვანმა მოტოციკლისტებმა. მიწა შეაზანზარეს სახელგანთქმულმა საბჭოთა ტანკებმა... არტილერიის მარშის გუგუნში მოედანზე შემოდის მძლავრი საბჭოთა არტილერია, რომელსაც ამხანაგმა სტალინმა „ომის ღმერთი“ უწოდა. დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში ჩვენმა ტანკისტებმა, არტილერისტებმა და სხვა გვარეობის ჯარებმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში უჭკნობი დიდებით შემოსეს თავიანთი სახელი, საბჭოთა იარაღის სახელი. ჩვენმა დიდმა სამშობლომ თავისი მამაცი შვილები შეაიარაღა პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით. საბჭოთა არმიამ გმირული და ძლევამოსილი ბრძოლით ღირსეულად დაიცვა თავისი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ფაშისტური მონობისაგან იხსნა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხები...

თბილისის მშრომელები, ჩვენი დიდი სამშობლოსათვის კანონიერი სიამაყის გრძნობით გამსჭვალულნი, მიესალმებოდნენ გმირ საბჭოთა მეომრებს, რომლებიც ფხიზლად იცავენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

პარადის დამთავრების შემდეგ დაიწყო თბილისის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია. მოედანზე შემოვიდნენ დემონსტრანტთა მრავალრიცხოვანი კოლონები, რომელთაც მოჰქონდათ წითელი დროშები, დიდი სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, ბოლშევიკური პარტიის საპირველმაისო მოწოდებანი, პლაკატები, დიაგრამები...

...რუსთაველის პროსპექტით მოედნისაკენ მოემართებიან მედროშეები. საწარმო-დაწესებულებათა საუკეთესო ადამიანები სათავეში უდგანან რევოლუციური ტრადიციებით სახელმოხვეჭილი რაიონის—ლენინის რაიონის დემონსტრანტებს. რაიონის მშრომელებს მოაქვთ მოწოდებანი — „დიდება დიდ სტალინს!“, „მსოფლიოს—მშვიდობა!“. ესენი არიან მშვიდობისმოყვარე მშრომელი ადამიანები. ცოტა რამ როდი აქვთ საამაყო ლენინის რაიონის მშრომელებს საპირველმაისო დღესასწაულის დღეს. მრავალ მოწოდებასთან, მრავალ პორტრეტთან ერთად შენიშნავდით დემონსტრანტთა ზღვის თავზე დიაგრამებს, სადაც აღნიშნული იყო რაიონის საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივების მიღწევები, საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ბევრმა საწარმომ ოთხ წელიწადში და უფრო ნაკლებ ხანში შეასრულა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი, ვადამდე გაანაღდა მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა.

ორგანიზებულად გაიარეს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლებმა, დაზგათმშენებლებმა, მანქანათმშენებლებმა, ფეიქრებმა, საორთქლმავლო დეპოს მემანქანეებმა, რომლებსაც სტახანოვური შრომით თავიანთი წლიური შე-

აქვთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ლენინის რაიონის დემონსტრანტთა კოლონის თავში იყვნენ მოსწავლეები — ჩვენი ქვეყნის ბედნიერი თაობა. კომუნიზმის მომავალ მშენებლებს სხვა მოწოდებებთან ერთად მოაქვთ მოწოდება: „მოსწავლეთა გმირობა და სიმამაცე ფრიადზე სწავლაა!“ ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ეს ძვირფასი სიტყვები გულის სიღრმეში აღუბეჭდავს ყოველ მოსწავლეს. ისინი ღრმად ეუფლებიან მეცნიერების საფუძვლებს, რათა გახდნენ კომუნისტური საზოგადოების ღირსეული მშენებლები, თავიანთი საქმეებით ასახელონ სამშობლო და დიდი სტალინი.

დამსწრეთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ფიზკულტურელთა მიერ შესრულებულმა სხვადასხვა ვარჯიშმა.

სტალინის რაიონის დემონსტრანტთა კოლონებს აგრეთვე წინ მიუძღოდნენ მოსწავლეები და პიონერები ყვავილების თაიგულებით, ალისფერი დროშებით. ხალისიანად, სრული წესრიგით ჩაიარეს მათ მთავრობის ტრიბუნის წინ. მოსწავლეთა ერთ ჯგუფს მოჰქონდა მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატთა პორტრეტები...

ურყევია საბჭოთა ხალხის მისწრაფება მშვიდობისაკენ. საბჭოთა ადამიანებს სურთ მშვიდობიანად იცხოვრონ და აშენონ, ისინი არავის არ მისცემენ უფლებას ხელი შეუშალოს მათ თავისუფალ შემოქმედებითს შრომაში.

მხნედ, დარაზმულად გაიარეს ტრიბუნასთან ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, თამბაქოს პირველი ფაბრიკის, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივებმა, რომლებიც ახალი საწარმოო მიღწევებით შეეგებნენ დიად დღესასწაულს — პირველ მაისს.

შემდეგ ტრიბუნის წინ ჩაიარეს მოლოტოვის, ბერიას, ორჯონიკიძის, კიროვისა და 26 კომისრის რაიონების მშრომელთა კოლონებმა. მოდიოდნენ მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, პროფესორ-მასწავლებლები და ხელოვნების მუშაკები, ექიმები და მწერლები, სტუდენტები და მოსწავლეები. სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა ასაკის ადამიანებმა ცხადყვეს თავიანთი რიგების ერთიანობა, მჭიდროდ დარაზმულობა საბჭოთა მთავრობის, ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის გარშემო.

რამდენი სიყვარული, რამდენი სითბო და გულწრფელობა იყო ჩაქსოვილი დემონსტრანტთა მისალმების შეძახილებში:

— დიდება ჩვენს მშობლიურ სტალინს!

— ამხანაგ სტალინს — ვაშა!

— ჩვენი გულითადი სალამი დიდ სტალინს!

სტალინის სახელით აღფრთოვანებული, მისი დიადი სიყვარულით გამსჭვალული მოდიოდა თითოეული დემონსტრანტი. უსაზღვროა მათი ნდობა და სიყვარული დიადი ბოლშევიკური პარტიისადმი.

თბილისის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია ოთხ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 250 ათასამდე კაცმა.

• • •

თბილისის ქუჩები, მოედნები, სკვერები დილიდან გვიან ღამემდე სავსე იყო ათიათასობით მშრომელით. დედაქალაქის საზაფხულო პარკებში დიდი სახალხო სეირნობანი გაიმართა. ზეიმობდა მთელი თბილისი.

საღამოს ცხრა საათზე სადღესასწაულოდ აფერადებულ და გაჩირაღდნებულ ქალაქში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისის აღსანიშნავად მძლავრად დაიქუხეს საარტილერიო სალუტის ზალპებმა. საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა უდიდესი აღფრთოვანებით აღნიშნეს შრომისა და გამარჯვების, სიხარულისა და ბედნიერების დიადი დღესასწაული.

პირველი მაისის ზეიმი საქართველოში

სოხუმი

ადრიანად აივსო სოხუმის ქუჩები მოზეიმე ხალხით. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე აღმართულია ტრიბუნა. დღის 12 საათზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია.

პირველად გაიარა ფიზკულტურელთა ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც შეასრულა სხვადასხვა მხატვრული ტანვარჯიში. შემდეგ მოდის საპირველმაისო შეჯიბრებაში გამარჯვებული სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივი. მოედანზე სიხარული და სიცოცხლე შეიტანეს მოსწავლეთა და ბავშვთა კოლონებმა.

დემონსტრაციის შემდეგ მშრომელები გაემართნენ სოხუმის მთისაკენ. აქ დღის 4 საათზე მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი. სიტყვა წარმოთქვა და ქალაქის მშრომელებს ტყე-პარკის გახსნა მიულოცა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს სტახანოველმა მჭედელმა ნ. რუხაძემ, მოსწავლე ლ. ქარცივაძემ, პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა რ. წულუკიძემ, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა გ. ჰაჭიამ და სხვ.

პირველ და ორ მაისს ქალაქის პარკებსა და სოხუმის მთაზე გაიმართა მასობრივი სეირნობა. 2 მაისს მოეწყო შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეში. (საქ. კორ.).

ბათუმი

განსაკუთრებული სიყვარულით მორთოთ ბათუმელებს რევოლუციის მოედანი.

დილის 11 საათია. საპირველმაისო დემონსტრაციას, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ხსნის სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის სახელოვანი კოლექტივი. მათ ბევრი რამ აქვთ საამაყო: ვადაზე ადრე — 24 აპრილისათვის გაანაღდეს საპირველმაისოდ ნაკისრი ვალდებულებები. 3 თვესა და 24 დღეში გადაჭარბებით შეასრულეს 4 თვის დავალება და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს რამდენიმე ეშელონი მაღალხარისხოვანი ნავთის პროდუქტები.

მოედანზე მწყობრად შემოვიდა რკინიგზის ბათუმის კვანძის საწარმოთა კოლექტივების მრავალრიცხოვანი კოლონა. აქ არიან მოწინავე მეორთქლმავლეები, მევაგონეები, მელიანდაგეები, სამგზავრო და სატვირთო სადგურების და სხვა საწარმოთა წარჩინებული ადამიანები.

მათ მოჰყვა „მთავარნავთგასაღების“ ბათუმის სამმართველოს კოლექტივი, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები.

მწყობრად ჩაიარეს საზღვაო სასწავლებლის, პედსასწავლებლისა და ტექნიკუმის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების მრავალრიცხოვანმა კოლონებმა.

დემონსტრაცია ჩატარდა ხალხთა სტალინური მეგობრობის, მშვიდობისათვის მტკიცე ბრძოლის ნიშნით, მშობლიური ბოლშევიკური პარტიისა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულისა და თავდადების ნიშნით.

2 მაისს ქალაქისა და გარეუბნების სასპორტო მოედნებზე მოეწყო შეჯიბრებები ფიზკულტურასა და სპორტში, გაიმართა მშრომელთა მრავალრიცხოვანი ექსკურსიები ბათუმის ისტორიულ ადგილებში, ბოტანიკურ ბაღში, მახლობელ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. (საქ. კორ.).

სტალინირი

ლამაზი, თვალწარმტაცი იყო სტალინირი პირველი მაისის დილით. გაზაფხულის მომხიბლავ სიმწვანეში გახვეულ ქალაქის ქუჩებში ფრიალებდნენ ალისფერი დროშები. სტალინირელები მხურვალედ ულოცავდნენ ერთმანეთს პირველ მაისს.

სტალინის სახელობის მოედანზე აღმართული ტრიბუნის წინ მწყობრი რიგებით გაიარეს ქალაქის მკვიდრთა მრავალრიცხოვანმა კოლონებმა. მოდიან ხე-ტყის მრეწველობის მუშები. მათ შორის არის კაჯაევის სახელობის ხე-ტყის კომბინატის კოლექტივი. ამ კოლექტივმა სასახელოდ შეასრულა სამაისოდ ნაკისრი ვალდებულება, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 200.000 მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ქალაქის ახალ საწარმოთა — მექანიკური ქარხნის, ლუდის ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივების, საშენ მასალათა საწარმოების მუშების რიგებს ამშვენებს საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში სახელმოხვეჭილი ბევრი სტახანოველი.

გაზაფხულის ყვავილებს გვანან კოლონათა ნაკადში მომავალი საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. ტრიბუნასთან მიახლოებისას ბავშვები ცაში უშვებენ მტრედებს, მოედანს მოეფინა ბავშვების წკრიალა ხმები — გაუმარჯოს სტალინს, გაუმარჯოს მშვიდობას!

ტრიბუნის წინ გაიარეს სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა, სკოლების მოსწავლეებმა. მათი სიმღერა სასიამოვნოდ ეფინებოდა ქალაქის ქუჩებს. (საქ. კორ.).

ქუთაისი

ქალაქის გული და მშვენება — სტალინის სახელობის მოედანი მშრომელებმა წინადღით მორთეს საპირველმაისო ლოზუნგებითა და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა სურათებით.

პირველ მაისს სრულ 12 საათზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა ოსტატურად შეასრულეს მხატვრული ვარჯიში.

აბრეშუმკომბინატის, ლიტოპონის, მანქანათმშენებელი, საკონსერვო ქარხნების, სამკერვალო ფაბრიკის, სამრეწველო კომბინატის და ათობით სხვა საწარმოს კოლონებს წინ მიუძღოდა მანქანები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ქუთაისის მარკის პროდუქციის ნიმუშები და წარწერები საპირველმაისო ვალდებულებათა განაღდების შესახებ. მაუდის ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 20 ათასი მეტრი ქსოვილი, ხოლო ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატმა 5 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

დემონსტრაციამ რამდენიმე საათს გასტანა. მასში მონაწილეობა მიიღო 50 ათასმა კაცმა. (საქ. კორ.).

რუსთავი

დემონსტრაცია დაიწყო დღის პირველ საათზე ფიზკულტურელთა გამოსვლით. ტრიბუნის წინ განუწყვეტელ ნაკადად მოემართებოდნენ სახებრწყინვებული ახალგაზრდები, ახალი სოციალისტური ქალაქის მშენებლები, სხვადასხვა საწარმოთა კოლექტივები.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს მოჰქონდათ მარტენის ღუმელებისა და ბლუმინგის საამქროს დამწნები ლილვებიანი საგლინავი დაზგის ლამაზად გაფორმებული მაკეტები, რომლებსაც უკან მოჰყვებოდნენ ქართული ფოლადის სახელმოხვეჭილი ოსტატები.

მაკეტებზე წარწერილი ციფრები იუწყებოდნენ, თუ როგორი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ მეტალურგთა ქალაქის მშრომელები დიად დღესასწაულს — 1 მაისს. (საქ. კორ.).

1 მაისი თბილისში. ორჯონიკიძის რაიონის მოსწავლეთა გამოსვლა ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე.

კომუნისტი

პარასკევი, 4 მაისი, 1951 წ. № 103 (8957).

1 მაისის დღესასწაული საზღვარგარეთ

პირველი მაისი — მსოფლიოს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისა და ძმობის დიდი დღესასწაული—ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ასეთი სასიხარულო, საზეიმო და შთამაგონებელი, როგორც წელს! ეს გასაგებიც არის: მშრომელ ადამიანებს ისტორიაში ჯერ კიდევ არასოდეს არ უგრძვნიათ თავი ასე ერთიან, დარაზმულ და უძლეველ ძალად. პირველი მაისის დღე მშრომელთათვის ყოველთვის საბრძოლო დათვალიერების დღეა, ბრძოლის შედეგების შეჯამების დღეა. საერთაშორისო პროლეტარიატს, კეთილი ნების ადამიანებს მთელ მსოფლიოში ბევრი რამ მოეპოვებათ ისეთი, რასაც უნდა გადაავლონ თვალი: გასულ წელს მათ უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს კაცობრიობის ყველაზე წმიდა საქმისათვის—მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. სხვადასხვა რასის, ეროვნებისა და კანის ფერის, სხვადასხვა პროფესიისა და რწმენის ნახევარ მილიარდზე მეტმა ადამიანმა სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერით უარყო ომი.

საპირველმაისო დღესასწაულისათვის მზადება მთელ მსოფლიოში მოეწყო მშვიდობისათვის ბრძოლის უფრო გაძლიერების ლოზუნგით. ქვეყნების მეტ ნაწილში 1 მაისისათვის უკვე შეგროვებული იყო პირველი ასეულ ათასობით ხელმოწერა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. „მოვითხოვთ მშვიდობის პაქტის დადებას!"—ეს ლოზუნგი ფრიალებდა დემონსტრანტთა საპირველმაისო კოლონების თავზე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს ლოზუნგი, მიუხედავად რეაქციულ მთავრობათა მუქარისა და პოლიციის გაფთრებისა, თავიანთი დროშებით გაატარეს პარიზისა და რომის, ნიუ-იორკისა და ლონდონის, ვენისა და ტოკიოს, ჯაკარტისა და სტოკჰოლმის, სანტ-იაგოს და დელის და კაპიტალისტური ქვეყნების ასობით სხვა ქალაქების მუშებმა.

საპირველმაისო დემონსტრაციებმა უჩვენა, თუ რა განუზომლად გაიზარდა ამ უკანასკნელ... [illegible]

[illegible]

... შევუწყო მშვიდობის შენარჩუნებას?"—ეკითხებიან თავიანთ თავს უბრალო ადამიანები და არ ყოფილა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, ალბანეთში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ისეთი კუთხე, სადაც მშრომლებს არ ეკისრნათ გადიდებული საწარ-... [illegible]

მოო ვალდებულებანი პირველი მაისისათვის.

დიდი დღესასწაულისადმი მიძღვნილ კრებებსა და მიტინგებზე მშრომლები სიამაყით აჯამებდნენ თავიანთი მიღწევების შედეგებს, ხოლო 1 მაისს სიხარულითა და ერთსულოვნად გამოვიდნენ დემონსტრაციაზე. პეკინს, ვარშავას, პრაღას, სოფიას, ბუქარესტს, ბუდაპეშტს, ტირანას, ულან-ბატორს, ბერლინს ჯერ არასოდეს არ უნახავთ ისეთი გრანდიოზული და ლამაზი საპირველმაისო დემონსტრაციები, როგორც წელს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სადღესასწაულოდ მორთულ დედაქალაქ პეკინში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 600 ათასზე მეტმა კაცმა, შანხაიში—ორ მილიონზე მეტმა კაცმა. დემონსტრანტების კოლონების თავზე აღმართული იყო უამრავი დროშა, მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის, პარტიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელების: მაო ძე-დუნის, ჯუ დეს, ლიუ შაო-ცის, ჯოუ ენ-ლაის, აგრეთვე სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელების პორტრეტები. „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დიდ ხალხთა ურღვევ მეგობრობას!"—ეს ლოზუნგი შეიძლებოდა გენახათ დემონსტრანტთა ყოველ კოლონაში.

პირველი მაისის დღეს ჩინეთის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, თავისი თანაგრძნობა, ძმური სოლიდარობა გამოუცხადეს კორეის გმირ ხალხს, რომელიც იარაღით იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ.

წელს საპირველმაისო დღესასწაულს კორეის მშრომლები შეხვდნენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტთა წინააღმდეგ გაჩაღებული განმათავისუფლებელი ომის პირობებში. 30 აპრილს ფხენიანში გაიმართა 1 მაისისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომას დაესწრნენ კიმ ირ სენი, კიმ დუ ბონი, პაკ ხენ ენი და კორეელი ხალხის სხვა ხელმძღვანელები. დამსწრეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილება დიდი სტალინისადმი, აგრეთვე მაო ძე-დუნისა და კიმ ირ სენისადმი.

[illegible]

გრანდიოზული და ლამაზი იყო ვარშავის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია. ამ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო პოლონეთის დედაქალაქის 400 ათასზე მეტმა მცხოვრებმა.

უდიდესი აღფრთოვანებით იდღესასწაულეს 1 მაისის დღე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა. ბერლინის დემოკრატიული სექტორის ასეულ ათასობით მცხოვრებმა გაატარა საპირველმაისო კოლონებში პლაკატები, დიაგრამები და მაკეტები, რომლებიც ცხადყოფენ მათ საწარმოო წარმატებებს ხუთწლიანი... [illegible]

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 30 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 30 აპრილის ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა რაზმებთან ერთად ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენციონისტთა წინააღმდეგ.

ფრონტის დასავლეთ უბანზე სახალხო არმიის ნაწილებმა ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით მიაღწიეს ზღუდეს სეულის ჩრდილოეთით 7-8 კილომეტრზე.

ფხენიანი, 1 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობით, დღეს სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა რაზმებთან ერთად ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას.

ფხენიანი, 2 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან ერთად ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ გაფთრებულ ბრძოლებს და დიდ ზარალს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ამ უკანასკნელი რამდენიმე დღის ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა მოსპეს, დაჭრეს და ტყვედ წამოიყვანეს მტრის 13 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და წამოიღეს დიდძალი ნადავლი, მათ შორის 300 ავტომანქანა და 30 ტანკი.

ჩინეთის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს განკარგულება ინგლისის ნავთის კომპანიის საკუთრების რეკვიზიციის შესახებ

პეკინი, 30 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, დღეს ჩინეთის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ გასცა განკარგულება ინგლისის ნავთის კომპანიის „შელ კომპანი ოფ ჩაინა ლიმიტედის" საკუთრების რეკვიზიციის შესახებ.

ჩინეთის ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ნათქვამია განკარგულებაში, გადაწყდა მოხდეს ჩინეთის ფარგლებში არსებული ინგლისის კომპანიის „შელ კომპანი ოფ ჩაინა ლიმიტედის" მთელი საკუთრების რეკვიზიცია, გარდა ამ კომპანიის მთავარი გამგეობის, განყოფილებებისა და გამსაღებელი კანტორების შენობებისა, და შესყიდვის საშუალებით მოხდეს მთელი არსებული ნავთის მარაგის რეკვიზიცია.

„შელ კომპანი ოფ ჩაინა ლიმიტედის" კომპანიის პასუხისმგებელმა თანამდებობის პირებმა ადგილებზე დაუყოვნებლივ უნდა შეადგინონ მთელი ქონების ინვენტარიზაცია (მთელი მოძრავი და უძრავი ქონებისა) გარდა კომპანიის მთავარი გამგეობის, განყოფილებებისა და გამსაღებელი კანტორების შენობებისა, და ელოდონ ადგილობრივი სამხედრო-საკონტროლო კომიტეტის და (ან) ადგილობრივი სახალხო მთავრობის განკარგულებას. ეს თანამდებობის პირები პასუხს აგებენ ამ ქონების შენახვისა და გადაცემისათვის. ყველა, ვისაც ბრალად დაედება ქონების დატაცება, მოსპობა, გადაცემა, დამალვა ან სხვა უკანონო მოქმედება, მკაცრად დაისჯება.

ეს განკარგულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღეს.

ირანის პრემიერ-მინისტრად მოსადიკის დანიშვნის გამო

თეირანი, 30 აპრილი. (საკდესი). გუშინ სენატმა სხდომის მონაწილე 43 სენატორთაგან 29 ხმით მხარი დაუჭირა მოსადიკის დანიშვნას ირანის პრემიერ-მინისტრად. 8 სენატორმა კენჭისყრაში თავი შეიკავა, 6 სენატორმა ხმა მისცა სხვა კანდიდატურებს.

კენჭისყრის შემდეგ მოსადიკი დათანხმდა მიიღოს პრემიერ-მინისტრის პოსტი და გამოთქვა სურვილი, რომ სენატი რაც შეიძლება მალე შეუერთდეს მეჯლისის აზრს ნავთის საკითხში და დაამტკიცოს მეჯლისის მიერ 28 აპრილს მიღებული კანონი ირანში ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის ფაქტიურად განხორციელებისა და ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

შაჰმა ოფიციალურად დაავალა მოსადიკს მთავრობის შედგენა.

თეირანი, 30 აპრილი. (საკდესი). კომენტარს უკეთებენ რა მოსადიკის დანიშვნას ირანის პრემიერ-მინისტრად, გაზეთები აღნიშნავენ, რომ მინისტრთა კაბინეტის შედგენას რამდენიმე დღე მოუნდება. გაზეთები „ეთელაათი" და „ჟურნალ დე ტეჰერანი" აღნიშნავენ, რომ ჯერჯერობით გამოურკვეველია, როგორი იქნება მოსადიკის მთავრობის პროგრამის მთავარი მუხლები. ვფიქრობთ, წერენ ეს გაზეთები, „ეჭვს გარეშეა, რომ პროგრამის მთავარი მუხლი იქნება ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის განხორციელება".

ირანის ახალი მთავრობა

პარიზი, 2 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო თეირანიდან იუწყება, დღეს ირანის პრემიერ-მინისტრმა მოსადიკმა წარუდგინა შაჰს მის მიერ შედგენილი მთავრობა. ახალი მთავრობის შემადგენლობაში, კერძოდ, შევიდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი—კაზემი; შინაგან საქმეთა მინისტრი—ზაჰედი; იუსტიციის მინისტრი—ალი ჰეიათი; ფინანსთა მინისტრი—მოჰამედ ალი ვარესტე; ეროვნული ეკონომიკის მინისტრი—ბუშერი.

ირანის მეჯლისში

ლონდონი, 2 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ირანის პრემიერ-მინისტრმა მოსადიკმა მეჯლისში გამოსვლისას მოითხოვა ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის ანგარიშების შემოწმება. მიცემული შეკითხვის პასუხად მოსადიკმა განაცხადა, რომ 1933 წელს ინგლის-ირანის ნავთის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა ზემოქმედების შედეგად და ირანი ვალდებული არ არის შეასრულოს იგი.

მოსადიკმა აგრეთვე განაცხადა, რომ ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის საბუღალტრო წიგნები შემოწმებულ უნდა იქნას და ირანს უნდა დაუბრუნდეს დიდი ბრიტანეთის ფლოტისათვის ნავთის პროდუქტების შესყიდვის დროს დათმობილი ფასდაკლების მთელი თანხა. „კომპანიას,— განაცხადა მოსადიკმა,—არ ჰქონდა უფლება მიეყიდა ნავთი ბრიტანეთის ფლოტისათვის მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასების უფრო დაბალ ფასებში".

ირანის შაჰის დეკრეტი ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ

ლონდონი, 2 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 2 მაისს ირანის შაჰმა ხელი მოაწერა დეკრეტს ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ.

ტოკიოში ჩავიდა ამერიკის სამხედრო მისია

პარიზი, 30 აპრილი. (საკდესი). როგორც პარიზის რადიო გადმოგვცემს, ტოკიოში ჩავიდა ამერიკის სამხედრო მისია, რომელშიც შედიან 4 გენერალი და 10 სხვა უმაღლესი წოდების ოფიცერი. მისიას მეთაურობს გენერალი მაქსუელ ტეილორი—ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსი.

ნორვეგიაში გაიხსნა საბჭოთა მეომრების ძეგლი

ოსლო, 30 აპრილი. (საკდესი). გუშინ დაბა სუმაში (სტავანგერის ახლოს) გაიხსნა ძეგლი საბჭოთა მეომრებისა, რომლებიც დაიღუპნენ გერმანელი ოკუპანტებისაგან ნორვეგიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ძეგლის გახსნას დაესწრნენ ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობა. ძეგლი შეამკეს მრავალი გვირგვინითა და ყვავილით.

სსრ კავშირის XIX პირველობა ჭადრაკში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა ჭადრაკში სსრ კავშირის XIX პირველობის მოწყობის წესი.

ოთხმოცი უძლიერესი მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას ნახევარფინალურ შეჯიბრებებში, რომლებიც გაიმართება ლენინგრადში, ბაქოში, სვერდლოვსკსა და ლვოვში. ბაქოში ტურნირი დაიწყება 15 მაისს, ხოლო დანარჩენ ქალაქებში—25 მაისს.

ნახევარფინალურ შეჯიბრებათა მონაწილეებს შორის არიან გროსმაისტერები ი. ბოლესლავსკი (სარატოვი), ი. ბონდარევსკი (ლენინგრადი), ა. კოტოვი (მოსკოვი), გ. ლევენფიში (ლენინგრადი), ა. ლილიენტალი, ვ. რაგოზინი, ვ. სმისლოვი და ს. ფლორი (მოსკოვი), სპორტის 52 ოსტატი და ოსტატობის 20 კანდიდატი.

თითოეულ ნახევარფინალურ ტურნირში პირველ ადგილზე გასულ ოთხ მოჭადრაკეს უფლება ეძლევა ითამაშოს პირველობის ფინალში, რომელიც 10 ნოემბერს დაიწყება მოსკოვში.

ფინალურ ტურნირში მონაწილეობისათვის მოწვეული არიან მსოფლიო პირველობაზე მატჩის მონაწილენი გროსმაისტერები მ. ბოტვინიკი და დ. ბრონშტეინი, აგრეთვე სსრ კავშირის ჩემპიონი გროსმაისტერი პ. კერესი.

ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში

2 მაისს სხვადასხვა ქალაქში გაიმართა მატჩები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში—საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი და „სსრ კავშირის თასის" მფლობელი — საზოგადოება „სპარტაკის" მოსკოვის გუნდი. თამაში მოიგეს არმიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1 : 0.

რიგაში ერთმანეთს შეხვდნენ „დაუგავასა" და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები. თამაში დაძაბული ბრძოლით მიმდინარეობდა და დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 1 : 0.

გორკის „ტორპედოს" და მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა შეხვედრა ქალაქ გორკში დამთავრდა ფრედ 1 : 1.

კიევში ადგილობრივი „დინამოს" ფეხბურთელები შეხვდნენ „კრილია სოვეტოვის" (კუიბიშევი) გუნდს. თამაში დამთავრდა ფრედ 2 : 2.

ლენინგრადში ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე შედგა მატჩი „ზენიტისა" და „დინამოს" ადგილობრივ გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა ანგარიშით 4 : 2 „ზენიტის" სასარგებლოდ.

ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დილა სოფელ საგურამოში

მოკლე ხანში გაიხსნება ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში. 29 აპრილს ქართველმა მწერლებმა წინასწარ დაათვალიერეს სახლ-მუზეუმი და საგურამოში გამართეს ი. ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავი ლიტერატურული დილა.

დილა შესავალი სიტყვით გახსნა მწერალმა შ. დადიანმა. ი. ჭავჭავაძის შესახებ მოხსენება გააკეთა გ. აბზიანიძემ. სიტყვებითა და ილიასადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვიდნენ პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე, გ. ქიქოძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი, რ. მარგიანი, ა. გომიაშვილი, ო. ჭელიძე.

საგურამოს მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა მასწავლებელმა ნინო ხუციშვილმა.

ილიასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა მასწავლებელმა შალვა მარკოზაშვილმა.

„ახალი ფუძე" სიღნაღის თეატრში

სიღნაღი. (საკ. კორ.). სიღნაღის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა სანდრო შანშიაშვილის პიესა „ახალი ფუძე". დადგმა ეკუთვნის რეჟისორ რ. ქართველიშვილს, მხატვრობა — გ. ნადირაშვილს, მუსიკალური გაფორმება — მ. ჩირინაშვილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის ხატრანსლაციო ქსელით)

5 მაისს

6.45 — უვერტიურები. 9.20 — ქიგანოვის სუიტა თათრულ თემებზე. 18.10 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. 18.30—გადაცემა მიძღვნილი ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი. 19.15—კამერული მუსიკის კონცერტი. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით—კონცერტი. 20.45 — სიმფონიური მუსიკა. 21.10 — საუბარი. 21.30 — არიები ქართული ოპერებიდან რადიოკომიტეტის სოლისტის ვ. წვერავას შესრულებით. 23.00 — არიები ოპერებიდან. 24.00 — ქართული ხალხური სიმღერები.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — „ტრავიატა" (მე-11 აბ. ა. კოვალიოვის მონაწილეობით); **მარჯანიშვილის სახელობის**—„რომეო და ჯულიეტა"; **გრიბოედოვის სახელობის** — „პატიოსნებისათვის" (სომხური თეატრის სპექტაკლი პ. ნერსესიანის მონაწილეობით); **მუსიკალური კომედიის**—„მხიარული ქვრივი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„გამოქცევა" (89-ე აბ. 7 საათზე).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „იხანი", „ამირანი" (საზამთრო და საზაფხულო დარბაზი). **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო და საზაფხულო დარბაზი) — „მშვიდობიან დღეებში"; **„ოქტომბერი"** — „უდანაშაულო დამნაშავენი"; **„თბილისი"** — „მზვერავის გმირობა"; **„კომკავშირელი"** (საზაფხულო დარბაზი)—„ყუბანელი კაზაკები" (საზამთრო დარბაზი) — „დაჯილდოებული სასძო"; **„სპარტაკი"**—„გიორგი სააკაძე".

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ... „Функциональное состояние желудка при пилородуоденальных стенозах и укорочениях малой кривизны желудка язвенного происхождения". [illegible]

შვილები გიორგი, თამარ, მარიამ, ელენე ოჯახებით იუწყებიან **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას** გარდაცვალებას პანაშვიდი 4, 5-V, 8 ს. გამოსვენება 6-V, 2 ს. მწერალთა სასახლიდან. მაჩაბლის 13.

მეუღლე გიორგი, შვილი ეთერ დეკანოზიშვილები, და ეკატერინე კვიტაშვილი, ნინო და რეზო ოდიშარიები იუწყებიან **ელენე გრიგოლის ასულ დეკანოზიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5-V, 6 ს. ფიროსმანის, 30.

მეუღლე ნინო, შვილები თინათინ, არჩილ, შვილიშვილები მანანა, მერაბ, და თამარ, რძალი მ. პეტრიაშვილი, სიძე ა. კიკნაძე იუწყებიან, რომ 6-V 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **შალვა იასონ-ძე გოგოლაშვილის** პა-... [illegible]

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14 ... [illegible]

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14. ... [illegible]